

ლექსიკოგრაფიის რაობა და ფუნქციები.
ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები.
არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება?!

*“თუ განწირული ყივის ვინმე, ვითა შეშლილი, -
შურისძიების ნიშანია, ღვთით მოვლენილი,
ადამის მოდგმას მარადიულ ტანჯვა-გოდებად
ერგო სიტყვათა შეკონება ლექსიკონებად”*

სემიუელ ჯონსონი

ლექსიკოგრაფიის რაობა და ფუნქციები

ლექსიკოგრაფია ბერძნული სიტყვაა (lexikos – სიტყვისა, სიტყვასთან დაკავშირებული და - grapho – ვწერ) და აღნიშნავს ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ქმნის ლექსიკონებს და ამუშავებს მათ შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ მეცნიერულ პრობლემასა თუ საკითხს. ლექსიკოგრაფია აღრიცხავს ლექსიკონების ტიპებს (განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი და სხვა), ავლენს მათ მსგავსება-განსხვავებებს, აყალიბებს მათი შედგენის მეცნიერულ პრინციპებს, მაგალითად: სიტყვანის მოცულობის დადგენა, ლექსიკონში სიტყვათა განლაგება (ბუდობრივი ან ანბანური), სიტყვა-სტატიის აგების პრინციპები, სიტყვის სემანტიკური დახასიათება და მრავალი სხვა.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ფილოლოგიისა და კულტურის სინთეზია, სიტყვა კულტურის მნიშვნელობის უაღრესად ფართო გაგებით. ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ხალხის იდენტობისა და კულტურის განსაზღვრაში. მას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების საქმეში, ლექსიკონი კი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს ამ იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად. ნებისმიერი ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ენის მეშვეობით რეალიზდება, ენა კი მთელი თავისი სისავსითა და სიმდიდრით ლექსიკონებშია ფიქსირებული. ლექსიკონის, როგორც ერის კულტურული სახის გამომხატველი ნაშრომის განსაკუთრებული როლის აღიარებამ, ლექსიკონთა კორპუსების კულტურული და პოლიტიკური, სტრატეგიული მნიშვნელობის გაცნობიერებამ განაპირობა ლექსიკოგრაფიული აქტივობის უპრეცედენტო აღმავლობა ევროპასა და ამერიკაში. შეიქმნა მრავალი ლექსიკოგრაფიული ცენტრი, გაფართოვდა თეორიული და კვლევითი მუშაობა ლექსიკოგრაფიის დარგში, გაიზარდა გამოშვებული ლექსიკონების ტიპები და ასორტიმენტი, განვითარდა საბავშვო და სასკოლო ლექსიკოგრაფია. ჩამოყალიბდა სხვადასხვა ასოციაციები: ევროპის ლექსიკოგრაფთა, ამერიკის ლექსიკოგრაფთა, აზიის, აფრიკის, ჩინეთის ლექსიკოგრაფთა და ა.შ.

ტერმინი “ლექსიკოგრაფია” ორი მნიშვნელობით იხმარება, ერთია პრაქტიკული ლექსიკოგრაფია (ლექსიკონების შედგენა), მეორე კი თეორიული ლექსიკოგრაფია

(მეცნიერება ლექსიკონების შედგენის პრინციპების, მათი კლასიფიკაციის შესახებ და ა.შ.). თუ **თეორიული ლექსიკოგრაფია** ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია, **პრაქტიკული ლექსიკოგრაფია**, ანუ ლექსიკონების შედგენა, ენათმეცნიერების ერთ-ერთ უძველეს დარგს წარმოადგენს.

ასევე უნდა განვასხვავოთ **ზოგადი ლექსიკოგრაფია** და **სპეციალიზებული ლექსიკოგრაფია**. **ზოგადი ლექსიკოგრაფია** მოიცავს ისეთი ლექსიკონების შედგენას, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი. **სპეციალიზებული ლექსიკოგრაფია** დაკავშირებულია სხვადასხვა სახის დარგობრივი ლექსიკონების შედგენასთან, ესაა: ტექნიკური, ბიოლოგიური, მათემატიკური, გეოგრაფიული და ა.შ. ამგვარ ლექსიკონებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ენისათვის და ერისათვის, რადგან დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავებისა და სათანადოდ განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ამა თუ იმ დარგის სრულფასოვანი განვითარება. სპეციალიზებულ ლექსიკონებს განეკუთვნება აგრეთვე სინონიმთა და ანტონიმთა ლექსიკონი, ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკონი და სხვა.

ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, რამაც ჩვენს დრომდე მოაღწია აქადელების* მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2340 წელს შედგენილი სიტყვათა ნუსხაა, რომლითაც ისინი თავიანთი წინაპარი შუმერების** არასემიტური, აგლუტინაციური ენის ახსნასა და ინტერპრეტაციას ცდილობდნენ. აქადურ-შუმერულ “ლექსიკონს” რიგი ენათმეცნიერებისა პროტო-ლექსიკონს უწოდებს.

დასავლური ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით ბერძნები იყვნენ პირველები, რომელთაც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან დაიწყეს ლექსიკონის ტიპის ნაწარმოებების შედგენა, რომელთაც გლოსარიუმს უწოდებდნენ. გლოსა ბერძნული სიტყვაა, და ენას აღნიშნას (glossa). თავდაპირველი მნიშვნელობით კი იგი აღნიშნავდა რთულ ან ბუნდოვანი შინაარსის სიტყვას, რომელიც ახსნას, განმარტებას საჭიროებდა. აღნიშნულ განმარტებებს გადამწერები ხელნაწერის გვერდის არშიაზე ან სტრიქონებს შორის მიაწერდნენ ხოლმე. მოგვიანებით შეიცვალა გლოსების დართვის პრაქტიკა და გლოსების ერთობლიობა ანუ გლოსარიუმი ერთიანი სახით ხელნაწერის ბოლოში გადავიდა. ასე მივიდა უძველესი ლექსიკოგრაფია გლოსარიუმამდე.

უძველესი ბერძნული გლოსარიუმები უპირატესად ერთი ავტორის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი გლოსების, ანუ რთული და გაუგებარი სიტყვების განმარტებებს შეიცავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ავტორი ჰომეროსი იყო. აღსანიშნავია რომ ძველი ბერძნები დარგობრივი ტერმინების ლექსიკონებსაც ადგენდნენ, მაგ. ტექნიკური ლექსიკონი, სამედიცინო ტერმინების ლექსიკონი, დიალექტოლოგიური ლექსიკონი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკული ლექსიკოგრაფიისაგან განსხვავებით, თეორიული ლექსიკოგრაფია ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია. განსხვავებულია ის ლექსიკოგრაფიული პრინციპები, რომლითაც სხვადასხვა ტიპის, ან სხვადასხვა ფუნქციის მქონე ლექსიკონები იქმნება. ლექსიკოგრაფიული პრინციპები დიდი განმარტებითი ლექსიკონებისა, რომლებიც მაქსიმალურად

სრულად ასახავენ ამა თუ იმ ენის ლექსიკურ ფონდს და ენის დოკუმენტირების ფუნქციას ემსახურებიან, სრულიად განსხვავებულია იმ განმარტებითი ლექსიკონების შედგენის პრინციპებისაგან, რომლებიც სასწავლო მიზნებით იქმნება. რადიკალურად განსხვავებულია ლექსიკოგრაფიული პრინციპები ორენოვანი ლექსიკონებისა, სიმფონია-ლექსიკონებისა, დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონებისა და სხვა.

თეორიული ლექსიკოგრაფია შეისწავლის ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ მეცნიერულ საკითხს, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა სიტყვის სემანტიკური დახასიათება, პოლისემიურ მნიშვნელობათა გამოყოფა-გამიჯვნა, სიტყვის მნიშვნელობათა ურთიერთმიმართების ასახვა სალექსიკონო სტატიაში, ციტატების შეგროვება-შერჩევის პრინციპები, სტილისტურად შეფერილი ლექსიკა და მისი სათანადოდ ასახვა ლექსიკონებში და ა.შ.

ლექსიკოგრაფიის ფუნქციები

1. **ენათა შორის კავშირის დამყარების ფუნქცია.** ეს ფუნქცია ხორციელდება სხვადასხვა ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკონებით.
2. **მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია.** ეს ფუნქცია ხორციელდება დიდი განმარტებითი ლექსიკონებით, აგრეთვე სპეციალური ერთენოვანი ლექსიკონებით, როგორცაა, მაგალითად ორთოგრაფიული ლექსიკონი და ა.შ.
3. **ენის შესწავლის ფუნქცია.** აღნიშნული ფუნქცია მოიცავს როგორც უცხო ენების, ისე მშობლიური ენის შესწავლას.
4. **ენის მეცნიერული შესწავლის ფუნქცია.** ამ ფუნქციამ წარმოშვა მრავალი უცნობი და ეგზოტიკური ენის ლექსიკონები და სხვა.

შემდგომში ლექსიკოგრაფია ოთხი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: **ნორმალიზაციის ლექსიკოგრაფია**, რომლის მიზანია ენის დეტალური აღწერა, სიტყვების დაწერილობის, წარმოთქმის, გრამატიკული დახასიათების, მნიშვნელობების და ა.შ. აღნუსხვა, ნორმალიზება, დოკუმენტირება. ამ მიმართულებამ შექმნა ისეთი შედეგები, როგორცაა დიდი განმარტებითი ლექსიკონები.

აღწერილობითი ლექსიკოგრაფია, რომლის მიზანია ცოდნის სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შექმნა.

ფილოლოგიური ლექსიკოგრაფია, რომლის მიზანია ეტიმოლოგიური და ისტორიული ლექსიკონების, მონათესავე ენების შედარებითი ლექსიკონების შედგენა და სხვა.

სასწავლო და პრაქტიკული ლექსიკოგრაფია, რომლის მიზანია, როგორც ერთენოვანი, ასევე ორენოვანი / თარგმნითი სასწავლო ლექსიკონების შედგენა.

ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები

ევროპის ქვეყნებში ლექსიკოგრაფიამ განვითარების სამი ძირითადი ეტაპი განვლო:

I ლექსიკოგრაფიის განვითარების წინარე პერიოდი (ჩვ. წ-ის XV საუკუნემდე), როდესაც ძირითადად იქმნებოდა გლოსები, გლოსარიუმები და მსგავსი ნაწარმოებები, ხოლო ფუნქცია იყო – რთული და გაუგებარი სიტყვების ახსნა;

II ლექსიკოგრაფიის განვითარების ადრეული პერიოდი (XV–XVIII სს.). ამ პერიოდში იქმნება ორენოვანი ლექსიკონები, რომელთა ფუნქციაა ენათა შორის კავშირის დამყარება და ენათა შესწავლა.

III ლექსიკოგრაფიის განვითარების პერიოდი (XVIII ს.-დან), როდესაც რეალიზდება ლექსიკოგრაფიის ყველა ფუნქცია და იქმნება დიდი განმარტებითი ლექსიკონები, ისტორიული ლექსიკონები და სხვა.

ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები.

ცხრილი 1.

ლექსიკოგრაფიის განვითარების პერიოდები	ლექსიკოგრაფიული პროდუქცია	ფუნქციები
ლექსიკოგრაფიის განვითარების წინარე პერიოდი (ევროპაში – XV ს.-მდე)	გლოსები, გლოსარიუმები და მისთ.	გაუგებარი და რთული სიტყვების ახსნა
ლექსიკოგრაფიის განვითარების ადრეული პერიოდი (ევროპაში XV–XVIII სს.)	ორენოვანი ლექსიკონები	ენათა შორის კავშირის დამყარების ფუნქცია, ენის შესწავლასთან დაკავშირებული ფუნქცია.
ლექსიკოგრაფიის განვითარების პერიოდი (ევროპაში XVIII ს.-დან)	განმარტებითი ლექსიკონები, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები	ყველა ფუნქცია

მაშასადამე, განმარტებითი ლექსიკონების აღმოცენებას წინ უსწრებდა ორენოვანი ლექსიკონების შედგენა, უფრო მეტიც ამ ტიპის ლექსიკონების შედგენას საუკუნეებიც

კი აშორებს, რაც კარგად ჩანს მეორე ცხრილში. ინგლისური ენის პირველი ორენოვანი ლექსიკონი 1500 წელს შეიქმნა, კერძოდ ლათინურ-ინგლისური, ინლისურ-ლათინური კი 1499 წელს. ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი XVIII საუკუნეში შეიქმნა, ორი საუკუნით გვიან. ასევეა ესპანურ, ფრანგულ, გერმანულ ენებთან მიმართებით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2.

ენა	ლექსიკონის ტიპი და გამოცემის დრო (წელი, საუკუნე)		
	პასიური	აქტიური	განმარტებითი
ინგლისური	1500 ლათ.-ინგლ.	1499 ინგლ.-ლათ.	XVIII ს.
ესპანური	1490 ლათ.-ესპ.	1495 ესპ.-ლათ.	1611
ფრანგული	1487 ლათ.-ფრანგ.	1507 ფრანგ.-ლათ.	1606
გერმანული	1467 ლათ.-გერმ.	1482 გერმ.-ლათ.	XVIII ს.

ანალოგიური მდგომარეობაა ევროპის ფარგლებს გარეთაც. სპარსული ენის პირველი ლექსიკონი ორენოვანია – არაბულ-სპარსული (XI ს.). გამონაკლისია იეროგლიფური დამწერლობის მქონე ქვეყნები (ჩინეთი, იაპონია), სადაც ძალიან ადრე შეიქმნა სწორედ განმარტებითი ლექსიკონები, რაც შესაძლოა იეროგლიფების განმარტების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი (ჩინეთი I–II სს., იაპონია – VIII ს.).

ლექსიკოგრაფიის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, როგორცაა: მშობლიური ენის აღწერისა და ნორმალიზაციის ფუნქცია, ისევე როგორც ენის მეცნიერული შესწავლის ფუნქცია აღმოცენდა უფრო გვიან, ვიდრე ენათა შორის კავშირის დამყარების ფუნქცია, და შესაბამისად, ორენოვანი ლექსიკონები, მაგრამ XVIII საუკუნიდან ამ ფუნქციებმა ცენტრალური ადგილი დაიკავა, შეავიწროვა რა სხვა ფუნქციები. 1850 – 1950-იან წლებში დიდი განმარტებითი, ისტორიული, ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენა იქცა ლექსიკოგრაფიის მთავარ ამოცანად ევროპის ქვეყნებში. ორენოვანმა ლექსიკოგრაფიამ დროებით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება?

ეს კითხვა მხოლოდ ქართულ აკადემიურ წრეებში არ გაისმის. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არც ევროპელ კოლეგებს არა აქვთ.

2010 წელს ბათუმის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში ქართველმა ლექსიკოგრაფებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი, რომელშიც ლექსიკოგრაფიის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა ასე ჩამოყალიბდა: „ლექსიკოგრაფის შრომის შედეგი არსებითად არ არის მიკუთვნებული სამეცნიერო კატეგორიას საზოგადოდ და, კერძოდ კი, დღევანდელი კონკურსებისა და სარეიტინგო შეფასებების დროს, მაშინ როდესაც სალექსიკონო სიტყვა-სტატია ხშირად უფრო ფართო სამეცნიერო კვალიფიკაციას გულისხმობს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული კვლევითი სტატია;

ლექსიკოგრაფიულ შრომასა და მის პროდუქტს დღემდე არა აქვს მინიჭებული ღირსეული კონკურენტის უფლება საგრანტო კონკურსების პირობებში“.

ქართველი ლექსიკოგრაფების მიმართვას იმავე წელს მხარი დაუჭირა ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მმართველმა საბჭომ, რომლის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, პროფ. ჯეფრი უილიამსმა საქართველოში გამოაგზავნა საყურადღებო წერილი. ქვემოთ მოყვანილია მცირე ფრაგმენტი ამ წერილიდან: „... აკადემიურ წრეებში ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობას ხშირად აკნინებენ, მიიჩნევენ რა მას მხოლოდ ხელობად და არა სამეცნიერო დისციპლინად. ამგვარი წარმოდგენა ლექსიკოგრაფიაზე არამცთუ უმართებულოა, არამედ სახიფათოც. ლექსიკოგრაფი არა მარტო შეისწავლის ენას, როგორც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, არამედ ლექსიკონის სახით თავად ქმნის იმ ინსტრუმენტს, რომლითაც ენა და მასში უკუფენილი კულტურული ფასეულობები ხელმისაწვდომი ხდება როგორც შესწავლისათვის, ისე საზოგადოების მიერ მისი სრულად აღქმისა და დაფასებისათვის“.

„ლექსიკონის შედგენა“, „составить словарь“, „to compile a dictionary“ - ისეთი რთული ნაწარმოების შექმნას, როგორც ლექსიკონია, იმთავითვე ზემოთ ჩამოთვლილი ზმნები დაუკავშირდა: „შედგენა“, „составить“, „to compile“ - ზმნები, რომლებიც საკმაოდ მექანიკური საქმის კეთებას აღნიშნავენ.

შედგენას ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი შემდეგნაირად ხსნის: „*ნაწილებისაგან ან ცალკეული ერთეულებისაგან მთელის შექმნა (ასობით სიტყვების შედგენა, სიის შედგენა, ოქმის შედგენა ...)*“. დიდი ოქსფორდის ლექსიკონი ზმნას **“to compile”** ასე განმარტავს: *“to make, compose, or construct (a written or printed work) by arrangement of materials collected from various sources”* (ნაშრომის შექმნა, შეთხზვა სხვადასხვა წყაროდან შეკრებილი მასალის დალაგების გზით). აღსანიშნავია, რომ ზმნას **“to compile”** ოქსფორდის ხსენებულ ლექსიკონში სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ: *“to compose as original work”* (ორიგინალური ნაშრომის / ნაწარმოების შეთხზვა, მაგ. სონეტისა), რომელიც მოძველებული მნიშვნელობაა, მაგრამ ფრაზა **“to compile a dictionary”** ოქსფორდის ლექსიკონში პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციოდაა მოყვანილი და არა მეორე მნიშვნელობისა, რომელიც ორიგინალური ნაწარმოების შეთხზვას გულისხმობს. გასაოცარია ეს დამოკიდებულება ოქსფორდის დიდი ლექსიკონის შემქმნელებისაგან, ვინაიდან ეს ლექსიკონი ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორიაში სწორედ მეცნიერული ლექსიკოგრაფიის ფუძემდებლად ითვლება.

ამგვარ დამოკიდებულებას ლექსიკოგრაფიის მიმართ, შესაძლოა, მე-18 საუკუნის დიდმა ინგლისელმა ლექსიკოგრაფმა სემიუელ ჯონსონმა დაუდო სათავე, როდესაც თავის „ინგლისური ენის ლექსიკონში“ სიტყვა **ლექსიკოგრაფი** ასე განმარტა: **Lexicographer** *“a writer of dictionaries; a harmless drudge, that busies himself in tracing the original, and detailing the signification of words”* (*ლექსიკოგრაფი, ვინც ლექსიკონებს წერს; უწყინარი მონა, რომელიც სიტყვების პირველწყაროს ადგენს და მათ მნიშვნელობებს გამოყოფს*). ასე დაჰყვა ლექსიკოგრაფიას მონური, კატორღული შრომის დამღა და დაიკარგა ამ საქმიანობის მეორე მხარე - სამეცნიერო, შემოქმედებითი მხარე. ბევრი ლექსიკოგრაფი ცდილობს მას შემდეგ ამ მითს ლექსიკოგრაფის მძიმე შრომის შესახებ შემატოს ამ საქმიანობის სამეცნიერო და შემოქმედებითი ასპექტები, მაგრამ, როგორც ჩანს, არცთუ შედეგიანად, რადგან

სათაურში გამოტანილი კითხვა, როგორც აღინიშნა, კვლავაც აქტუალურია არა მხოლოდ ქართულ სამეცნიერო წრეებში.

რა არის ლექსიკოგრაფია? ლექსიკოლოგიის ნაწილი? გამოყენებითი ენათმეცნიერების ნაწილი? დამოუკიდებლად არსებული დარგი?

ძნელია მოიძებნოს ლექსიკოგრაფიის ორი ისეთი განმარტება, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ერთმანეთთან და არ არის ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგოც კი.

დისკუსიას იმის შესახებ არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება, მეორე კამათი დაემატა თემაზე - არსებობს თუ არა ლექსიკოგრაფიის თეორია?

1983 წელს ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის სადამფუძნებლო კონგრესზე, ცნობილმა გერმანელმა ენათმეცნიერმა ჰერბერტ ვიგანდმა საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა, რომელიც დაეთმო ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორიის სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრის საკითხებს. ვიგანდის აზრით, ლექსიკოგრაფია არ არის ლექსიკოლოგიის ნაწილი, რადგან, თეორიულად, იგი არ არის მხოლოდ ლექსიკოლოგიით განპირობებული და ნასაზღვროები. ვიგანდი ლექსიკოგრაფიას არც გამოყენებითი ენათმეცნიერების შტოდ განიხილავს, რადგან ლექსიკოგრაფია, მისი აზრით, არ არის მხოლოდ ლინგვისტური თეორიებისა და მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში. ლექსიკოგრაფიის თეორიას ვიგანდი განიხილავს არა ლექსიკოგრაფიის ნაწილად, არამედ მეტალექსიკოგრაფიის ნაწილად.

ვიგანდის აზრით, მეტალექსიკოგრაფია ოთხ კომპონენტს მოიცავს: 1. ლექსიკოგრაფიის ისტორია; 2. ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორია; 3. ლექსიკონების გამოყენების კვლევა; 4. ლექსიკონების კრიტიკული განხილვა.

ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორია კი, ვიგანდის აზრით, შემდეგი თეორიებისაგან შედგება: თეორია A. ზოგადი ნაწილი; თეორია B. ორგანიზაციის თეორია; თეორია C. ენის ლექსიკოგრაფიული კვლევის თეორია; თეორია D. ენის ლექსიკოგრაფიული აღწერის თეორია. თეორია A მოიცავს როგორც ლექსიკონების მიზნების განსაზღვრას, ისე სხვა თეორიებთან ლექსიკოგრაფიის მიმართებას. თეორია C ეხება სალექსიკონო მასალის შეკრებას, დამუშავებას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. თეორია D მოიცავს ლექსიკონების ტიპოლოგიას და ლექსიკოგრაფიული ტექსტების თეორიას, ანუ ლექსიკოგრაფიული ტექსტების სტრუქტურას. რაც შეეხება თეორია B-ს, ის ეხება შრომის ორგანიზებას ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის სამი სფეროსათვის.

იმავე კონგრესზე ჯონ სინკლერმა, კორპუსული ლინგვისტიკის ერთ-ერთმა პიონერმა და კობილდის პროექტის ფუძემდებელმა, ასევე საპროგრამო მოხსენება წაიკითხა თემაზე: „ლექსიკოგრაფია, როგორც სამეცნიერო საგანი“. მოხსენებაში ჯ. სინკლერმა დააყენა ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის შექმნის საკითხი, რაც პრაქტიკული საქმიანობის აკადემიურ დისციპლინად გარდაქმნას შეუწყობდა ხელს და რომელიც ლექსიკოგრაფიას განიხილავდა მჭიდრო ურთიერთკავშირში საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, კომპიუტერულ ლინგვისტიკასთან, ზოგად ენათმეცნიერებასთან და ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკასთან.

25 წლის შემდეგ ევროპელ ლექსიკოგრაფთა ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალის - „ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო ჟურნალის“ საიუბილეო გამოცემაში, ცნობილი სამხრეთ-აფრიკელი ლექსიკოგრაფი რუფუს გოუვსი დანანებით აღნიშნავს, რომ ჯ. სინკლერისა და ჰ. ვიგანდის საპროგრამო გამოსვლებს მნიშვნელოვანი გავრძელება არ მოჰყოლია აღნიშნული ჟურნალის ფურცლებზე. გოუვსის აზრით, ეს ნაწილობრივ

იმანაც განაპირობა, რომ რამდენიმე ავტორიტეტული და გავლენიანი ევროპელი ლექსიკოგრაფი, სიუ ატკინსი, მაიკლ რანდელი და ანრი ბეჟუანი კატეგორიულად უარყოფენ ლექსიკოგრაფიის თეორიის არსებობას, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ლექსიკოგრაფიის თეორიის საკითხების შემდგომ განხილვასა და განვრცობაზე.

2009 წელს გამოცემულ წიგნში “Lexikographie und Wörterbuchforschung” ენგელბერგი და ლემნიცერი ასევე მიჯნავენ ლექსიკოგრაფიის პრაქტიკას, რომლის მიზანია ლექსიკონების შექმნა და ლექსიკოგრაფიის თეორიას, რომელიც მიმართულია ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკონებზე. ისინი მიიჩნევენ, რომ თეორიული ლექსიკოგრაფია არ არის გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგი. მათი აზრით, ლექსიკოგრაფია შემდეგ თემატიკას მოიცავს: ლექსიკონების სტრუქტურა; ლექსიკონების შედგენა; ლექსიკონების გამოყენება (ლექსიკონების გამოყენების დიდაქტიკის ასპექტების ჩათვლით); ლექსიკონების რეცენზირება; ლექსიკოგრაფიის ისტორია.

უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა როგორც პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული პროექტების თვალსაზრისით (დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი), ისე ლექსიკოგრაფიის სწავლების თვალსაზრისით (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ლექსიკოგრაფიაში).

ლექსიკოგრაფიას, ჩვენი აზრით, ორი მხარე აქვს: პრაქტიკული ლექსიკოგრაფია, ანუ ლექსიკონების შექმნის პროცესი (აღსანიშნავია, რომ ბევრი ლექსიკოგრაფი, მათ რიცხვში ჩვენც, ერიდება სიტყვა „შედგენის“ გამოყენებას ლექსიკონებთან მიმართებით და იყენებს ზმნას „შექმნა“) და ლექსიკოგრაფიის თეორია, რომელიც მიმართულია პრაქტიკული საქმიანობისაკენ და მოიცავს იმ თეორიებსა და თეორიულ კვლევებს, რაც ლექსიკოგრაფს აღჭურავს ლექსიკონის შექმნისათვის საჭირო აუცილებელი ცოდნით.

ლექსიკოგრაფიის თეორიაში გამოვყოფთ შემდეგ კომპონენტებს:

1. **ზოგადი ნაწილი.** თეორიული ლექსიკოგრაფიის ეს ნაკვეთი მოიცავს: ლექსიკოგრაფიის რაობისა და ფუნქციების განსაზღვრას. ასევე იმ თეორიებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია კვალიფიციური ლექსიკოგრაფისათვის, მაგ. ლექსიკური სემანტიკის თეორიებს (ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა, სტრუქტურალისტური სემანტიკა, კოგნიტიური სემანტიკა); სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდებს; ელექტრონულ კორპუსებსა და მათ გამოყენებას თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში; სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს დიდი მოცულობის ელექტრონულ კორპუსებთან სამუშაოდ (მაგ. სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა - Sketch Engine) და სხვა.

2. **ლექსიკოგრაფიის ისტორია.**

3. **ლექსიკოგრაფიის ჟანრები,** რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნის პრინციპებს (დიდი განმარტებითი ლექსიკონები, ისტორიულ პრინციპებზე შექმნილი ლექსიკონები, დიდი ორენოვანი ლექსიკონები, ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი სასწავლო ლექსიკონები, განმარტებითი და თარგმნითი დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონები და სხვა). აქვე შედის ელექტრონული ლექსიკოგრაფია და ის ცვლილებები, რაც მან მოიტანა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შედგენის პრინციპების თვალსაზრისით. ამავე კომპონენტში

ვაერთიანებთ ლექსიკონების რეცენზირებას, ანუ ლექსიკონების კრიტიკულ განხილვას.

4. **ლექსიკონების გამოყენების კვლევა** (რომელიც მოიცავს ლექსიკონების გამოყენების სწავლების საკითხებსაც). ბოლო წლებში ბევრი თეორიული ექსპერიმენტი შემუშავდა და ჩატარდა ლექსიკონების ეფექტიანობის გამოსავლენად. ლექსიკონის მომხმარებლებზე ორიენტაცია, მათი საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების ანალიზი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების დაგეგმვის, ლექსიკონების სამეცნიერო აპარატის შემუშავებისა და შედგენის პროცესში.

5. **პრაქტიკული ლექსიკოგრაფია**. ამ ნაწილში შედის პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელების ეტაპების დაგეგმვის, წყაროების შერჩევის, მასალის მოძიებისა და ანალიზის, მაკრო- და მიკროსტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების სიტყვა-სტატიების შექმნის მეთოდოლოგია და სხვა.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით არის აგებული ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი თსუ-ში, რომელიც მოიცავს ისეთ საგნებს, როგორცაა: ლექსიკოგრაფიის ისტორია; ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული პრინციპები; სიტყვის მნიშვნელობა და მისი კვლევის მეთოდები; ლექსიკური სემანტიკა; მეტაფორის თეორია; კორპუსული ლინგვისტიკა; სოციოლინგვისტიკა; პრაგმატიკა; პრაქტიკული კურსები ზოგად და სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში.

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ლექსიკოგრაფია არის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა. დაუშვებლად მიგვაჩნია ლექსიკოგრაფიის პრაქტიკის განხილვა თეორიისაგან იზოლირებულად. სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა აქცევს დარგს აკადემიურ დისციპლინად. აკადემიური ლექსიკოგრაფია არის ლექსიკოგრაფიული თეორიით აღჭურვილი პრაქტიკა, ხოლო მეცნიერი-ლექსიკოგრაფი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ლექსიკოგრაფიის თეორიას და ისე ქმნის ლექსიკონს. ლექსიკოგრაფია არ არის ლექსიკოლოგიის ნაწილი და არ საზრდოობს მხოლოდ ლექსიკოლოგიური თეორიებით. ვიგანდის მაგალითი რომ მოვიშველიოთ, სიხშირული ლექსიკონის შესაქმნელად სტატისტიკური კვლევის მეთოდების ცოდნაა საჭირო, ან მაგალითად, ვალენტობის ლექსიკონებში გრამატიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლექსიკა; ასევე გასათვალისწინებელია წარმოთქმის, ქესტების ლექსიკონები; დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონები და სხვა. ლექსიკოგრაფია არ შეიძლება განვიხილოთ გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგად, ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით, რადგან ლექსიკოგრაფია არ არის მხოლოდ ლინგვისტური თეორიების გამოყენება პრაქტიკაში. ყოველი თეორია, ლინგვისტური თუ ლექსიკოგრაფიული, ტრანსფორმირდება პრაქტიკაში ლექსიკოგრაფიული საჭიროებისათვის და ყოველი ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა წარმოშობს ახალ გამოცდილებას, რომელიც ავსებს და გარდაქმნის არსებულ თეორიებს. ლექსიკოგრაფია არის გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგი ამ ტერმინის ფართო გაგებით, როგორც ენობრივი პრობლემების თეორიული და ემპირიული კვლევებისა.

ლექსიკოგრაფიის მიმართ ჩვენს მიდგომას ყველაზე კარგად გადმოსცემს ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსის, გერმანელი მეცნიერის ჰაუსმანის სიტყვები:

“Lexicography is a scientific practice aiming to bring dictionaries into existence”
„ლექსიკოგრაფია სამეცნიერო საქმიანობაა, რომლის მიზანაც არის ლექსიკონების შექმნა“.

აქვე უპრიანია გავიხსენოთ ქართული ლექსიკოგრაფიული ტრადიცია და ის მიდგომები, რაც ამ დარგის მიმართ არსებობდა 1980 – 1990-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უფრო ადრე კი, 1950 – 1960-იან წლებში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და რაც ასახავდა იმ პერიოდის აკადემიური წრეების დამოკიდებულებას ლექსიკოგრაფიისადმი, კერძოდ, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 20 წლის განმავლობაში იყო თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის სამეცნიერო თემა, ხოლო ენათმეცნიერების ინსტიტუტში, არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შექმნილი დიდი განმარტებითი ლექსიკონის თითოეული სიტყვა-სტატია გადიოდა რეცენზირებას ისე, როგორც ნებისმიერი სამეცნიერო სტატია.

ლექსიკოგრაფიამ, მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე დიდი ევოლუცია განიცადა. გლოსარიუმები, რომლებიც მხოლოდ რთულ და გაუგებარ სიტყვებს განმარტავდნენ, ჩანაცვლეს ლექსიკონებმა, რომელთაც ენის მთელი ლექსიკა მოიცვას. იხვეწებოდა ლექსიკონებში სიტყვის მნიშვნელობის აღწერის მეთოდოლოგია. ასე გაჩნდა მხატვრული ლიტერატურიდან ამოკრეფილი საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსები, რომელთაც ლექსიკოგრაფები სიტყვის მნიშვნელობების აღწერისას იყენებდნენ და რომლითაც ახდენდნენ მნიშვნელობების ილუსტრირებას. დიდი ოქსფორდის ლექსიკონის შემოქმედებითმა გუნდმა ლექსიკონის ცნება უპრეცედენტო სიმაღლემდე აიყვანა და მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. ამ ლექსიკონისათვის ათმილიონიანი კორპუსი შეიქმნა, რომელმაც 5 000 წყარო და 7 საუკუნე მოიცვა, ხოლო თავად ლექსიკონში ორ მილიონამდე საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შევიდა. ლექსიკოგრაფია ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მიჰყვება ენათმეცნიერების თუ სხვა მომიჯნავე დარგების მიღწევებს. ისტორიულ-შედარებითი მეცნიერების მიღწევები აისახა დიდი ოქსფორდის ლექსიკონის ეტიმოლოგიებში, რომელიც თითოეულ სიტყვას აქვს დართული, აგრეთვე ინგლისურ სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიული პრინციპით დალაგებაში. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ელექტრონული კორპუსების განვითარებამ დაუყოვნებელი ასახვა პოვა ლექსიკოგრაფიაში, რომელიც მთლიანად დაეფუძნა ელექტრონული მრავალმილიონიანი კორპუსებიდან ამოღებული და გაანალიზებული მასალის მონაცემებს. ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარებამ სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალა ამ დარგის წინაშე და ლექსიკოგრაფია აქცია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ, სწრაფად განვითარებად დარგად.

ლექსიკოგრაფიის სტატუსის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში, სადაც ლექსიკოგრაფიის უგულვებელყოფამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში დიდად დააზიანა დარგი და შექმნა აკადემიური ლექსიკონების, პროფესიონალი ლექსიკოგრაფების უმწვავესი დეფიციტი, აქედან გამომდინარე სხვა მძიმე შედეგებით. ევროპელმა ლექსიკოგრაფებმა შეიძლება გააგრძელონ დისკუსია ამ თემაზე (თუმცა ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მაგ. გერმანიაში, ჰოლანდიაში, მეცნიერებმა იმსჯელეს ლექსიკოგრაფიის სტატუსზე და დაადგინეს, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებაა), მათ თავიანთი ენებისათვის უკვე დიდი ხანია შექმნილი აქვთ მრავალმხრივი ლექსიკოგრაფიული რესურსები. საქართველოში კი, დარგში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს, რამაც უნდა ააღორძინოს ჩვენს

ქვეყანაში აკადემიური, თეორიაზე და მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია.

* აქადელები, ძვ. წ. XXIV – XVIII სს-ში ჩრდილოეთ შუამდინარეთში დამკვიდრებული სემიტი ტომები, რომელთაც შეიერთეს სამხრეთი შუამდინარეთი და შექმნეს დიდი სახელმწიფო.

** შუმერები, უძველესი ხალხები სამხრეთ შუამდინარეთში, ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Atkins B. T. S. and M. Rundell. 2008. *The Oxford Guide to Practical Lexicography*. New York: Oxford University Press.
2. Bejoint H. 2010. *The lexicography of English*. New York: Oxford University Press.
3. Engelberg S. and L. Lemnitzer. 2009. *Lexikographie und Wörterbuchforschung*. Tübingen, Staufenberg Verlag.
4. Gouws R. H. 2012. Theoretical Lexicography and the International Journal of Lexicography. *International Journal of Lexicography*, 25.4, გვ 450 – 463.
5. Oxford English Dictionary on Historical Principles (OED). vol. I – XX. Oxford University Press.
6. Sinclair J. 1984. Lexicography as an Academic Subject. R. R. K. Hartmann (ed.), *LEXeter '83 Proceedings*. Tubingen: Max Niemeyer. გვ. 13-30.
7. Wiegand H. E. 1984. On the Structure and Contents of a General Theory of Lexicography. R. R. K. Hartmann (ed.), *LEXeter '83 Proceedings*. Tubingen: Max Niemeyer, გვ. 3-12.